

# კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო  
16 იანვარი, 2017

## ეკონომიკა


**საერთაშორისო რეზერვები:** საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2016 წლის დეკემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წინა თვესთან შედარებით 21.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (-0.8%), ხოლო წინა წლის დეკემბერთან შედარებით 236.8 მლნ აშშ დოლარით (+9.4%) გაიზარდა და 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. თვიურ ჭრილში რეზერვების კლებაზე ზეგავლენა მოახდინა ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციამ, დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა 40 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

**უძრავი ქონების რეგისტრაცია:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანახმად, 2016 წლის დეკემბერში, უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა 60,223 ერთეული შეადგინა, რომელიც წინა წლის დეკემბერთან შედარებით 8.7%-ით არის გაზრდილი, ხოლო წინა თვესთან შედარებით ზრდა 2.6% იყო. ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველად (+22.6% წ/წ, მთლიანის 21.7%), ასევე მეორად (+5.4% წ/წ, მთლიანის 78.3%) სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობაში.

**კომპანიების რეგისტრაცია:** 2016 წლის დეკემბერში, რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3,726 ერთეული შეადგინა, რომელიც წინა წლის დეკემბერთან შედარებით 11.3%-ით, ხოლო 2016 წლის ნოემბერთან შედარებით 11.2%-ით არის შემცირებული. დეკემბერში დარეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებიდან, 95.3% სამეწარმეო სუბიექტია, ხოლო 4.7% არასამეწარმეო.

2017 წლის 9 იანვარს, ევროკავშირმა საქართველოს 43.95 მილიონი ევრო უსასყიდლო გრანტის სახით გამოუყო მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად სხვადასხვა სფეროში: ვაჭრობისა და ბიზნესის განვითარება, პროფესიული განათლება და დასაქმება, სოფლის მეურნეობა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაცია. ფულადი სახსრების გამოყოფა მოხდა აგრეთვე საქართველოს მართლმსაჯულების სექტორის, საჯარო მმართველობის, საჯარო ფინანსების მართვისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკის მხარდასაჭერად.

## საერთაშორისო რეზერვები



წყარო: ეროვნული ბანკი

## ეკონომიკური ინდიკატორები

|                                        | 11M16               | 2015               | 2014  |
|----------------------------------------|---------------------|--------------------|-------|
| მშპ (%-ლი ცვლილება)                    | 2.4%                | 2.9%               | 4.6%  |
| მშპ ერთ სულზე (ppp)                    | ...                 | 9,630              | 9,209 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ \$)                 | ...                 | 3,767              | 3,676 |
| მოსახლეობა (მლნ)                       | 3.7 <sup>(1)</sup>  | 3.7 <sup>(1)</sup> | 4.5   |
| ინფლაცია, პერიოდის ბოლო                | 1.8% <sup>(3)</sup> | 4.9%               | 2.0%  |
| მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)        | 2.8                 | 2.5                | 2.7   |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %) | 8.4% <sup>(2)</sup> | 11.9%              | 10.6% |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)           | ....                | 3.7%               | 3.0%  |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)              | ...                 | 41.4%              | 35.7% |


წყარო: ოფიციალური მონაცემები

(1) მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები

(2) 2016 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით

(3) 2016 12 თვის წლის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



မှောင်: လာဗ္ဗာဗာ

## საერთაშორისო რეიტინგები, 2016-17

- ბიზნესის კეთების სიმარტვე №16 (საუკეთესო 20-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №59 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო  
ეკონომიკური ფორუმი

**საქართველოს სუვერენული საკრედიტო  
რეიტინგი**



წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




## ფულადი ბაზარი

**რეფინანსირების სესხები:** საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 1,150 მლნ ლარის (419.8 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლის 11 იანვარს 182-დღიანი 20 მლნ ლარის (7.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 6.968% შეადგინა.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლის 11 იანვარს 2-წლიანი 40 მლნ ლარის (14.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.171% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2017 წლის 18 იანვარს სადაც 1-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.


### სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: სებ

შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემი.


### მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სებ


შენიშვნა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2017 წლის 25 იანვარს შედგება.

### სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

### ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




## ობლიგაციები

**კორპორატიული ვერობლიგაციები:** საქართველოს ბანკის ვერობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 5.9%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 100.4 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვერობლიგაციები - GEOROG 05/17-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით - 100.8 (-0.1% წინა კვირასთან შედარებით) და 4.6%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 104.6 (+0.2% წინა კვირასთან შედარებით, 5.5%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 107.1 ფასად (+0.2% წინა კვირასთან შედარებით), 6.2%-იანი შემოსავლიანობით.

**საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG)** დაიხურა ფასით - 109.8 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 4.3%-იანი შემოსავლიანობით.

### ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა %)




|                         | ადგილობრივი ობლიგაციები |               |                 |               |              | ვერობლიგაციები  |                 |                 |                 |                |
|-------------------------|-------------------------|---------------|-----------------|---------------|--------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------|
|                         | GWP<br>12/21            | M2RE<br>10/19 | Nikora<br>03/18 | EVEX<br>05/17 | GLC<br>09/17 | GEOROG<br>04/21 | GEOROG<br>05/17 | BGEOLN<br>07/23 | GEORG<br>04/21  | GRAIL<br>07/22 |
| მოცულობა<br>მლნ აშშ \$  | 30*                     | 25            | 5               | 15            | 10           | 250             | 53.5            | 350             | 500             | 500            |
| გამოშვების<br>თარიღი    | 12/16                   | 10/16         | 03/16           | 05/15         | 09/14        | 04/16           | 05/12           | 07/16           | 04/11           | 07/12          |
| დაფარვის<br>თარიღი      | 12/21                   | 10/19         | 03/18           | 05/17         | 09/17        | 04/21           | 05/17           | 07/23           | 04/21           | 07/22          |
| კუპონი, %               | 3.50**                  | 7.50          | 11.00           | 9.50          | 8.75         | 6.750           | 6.875           | 6.000           | 6.875           | 7.750          |
| Fitch/S&P/<br>Moody's   | BB-/B1                  | -/-           | -/-             | -/-           | -/-          | BB-/B+          | BB-/B+          | BB-/B1          | BB-/BB-<br>/Ba3 | BB-/B+         |
| საშუალო<br>ფასი, აშშ \$ | n/a                     | 103.83        | 102.57          | 101.49        | 100.73       | 106.1           | 100.9           | 101.8           | 111.0           | 109.0          |
| საშუალო<br>პროცენტი     | n/a                     | 6.0           | 8.750           | 5.50          | 7.750        | 5.1             | 4.1             | 5.7             | 4.0             | 5.8            |
| Z-spread,<br>bps        | n/a                     | n/a           | n/a             | n/a           | n/a          | 314.4           | 197.7           | 353.6           | 208.4           | 369.1          |

წყარო: ბლუმბერგი

\*GWP 12/21 მოცემულია ლარში

\*\* მცურავი განაკვეთი (სემ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3.5%)

### საქართველოს ვერობლიგაციების ბაზარი



### აღმოსავლეთ ვერობის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

| ქვეყანა     | მოცულობა, მლნ<br>აშშ \$ | კუპონი, % | დაფარვის თარიღი | რეიტინგი<br>(Fitch/S&P/Moody's) | საშუალო ფასი,<br>აშშ \$ | საშუალო<br>პროცენტი, % | Z-spread, bps |
|-------------|-------------------------|-----------|-----------------|---------------------------------|-------------------------|------------------------|---------------|
| საქართველო  | 500                     | 6.875%    | 12/04/2021      | BB-/BB-/Ba3                     | 111.0                   | 4.0                    | 240.6         |
| აზერბაიჯანი | 1,250                   | 4.750%    | 18/03/2024      | BB+/-/Ba1                       | 101.1                   | 4.6                    | 240.6         |
| ბულგარეთი   | 323                     | 5.000%    | 19/07/2021      | BBB-/B1                         | 120.0                   | 0.5                    | -243.2        |
| ხორვატია    | 1,250                   | 3.875%    | 30/05/2022      | BB/BB/Ba2                       | 108.6                   | 2.2                    | 197.6         |
| უნგრეთი     | 3,000                   | 6.375%    | 29/03/2021      | BBB-/BBB-/Baa3                  | 113.2                   | 3.0                    | 105.0         |
| რუმინეთი    | 2,250                   | 6.750%    | 07/02/2022      | BBB-/BBB-/Baa3                  | 115.4                   | 3.4                    | 138.1         |
| რუსეთი      | 3,500                   | 5.000%    | 29/04/2020      | BBB-/BB+/Ba1                    | 106.4                   | 2.9                    | 108.2         |
| თურქეთი     | 2,000                   | 5.625%    | 30/03/2021      | BBB-/NR/Ba1                     | 102.0                   | 5.1                    | 314.5         |

წყარო: ბლუმბერგი



## აქციები

**BGEO ჯგუფის (BGEO LN)** აქციები დაიხურა 27.87 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.89% წინა კვირასთან შედარებით და -14.03% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 370 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 27.55 – 28.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 76 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე მეტია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 0.17%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 3.70%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.94% შეადგინა.

**თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)** აქციები დაიხურა 14.50 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-0.34% წინა კვირასთან შედარებით და -2.95% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 250 ათასს გადააჭარბა, GBP 14.19 – 14.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 63 ათასი აქცია შეადგინა.

**საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN)** აქციები დაიხურა 3.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით და -8.66% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 166 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.15 – 3.45 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 18 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.3% შეადგინა.

**საქართველოს საფონდო ბირჟაზე** თელიანი ველის აქციები, ივაჭრებოდა 0.18 ლარად, +38.5% წინა კვირასთან შედარებით. შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსი გაიზარდა +0.08% წინა კვირასთან შედარებით და 1,176.9 შეადგინა.

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

|                   | კოდი | აქციის<br>ფასი, აშშ \$ | კაპიტალიზაცია,<br>მლნ აშშ \$ | 1თვე,<br>ცვლ. | 3თვე,<br>ცვლ. | 6თვე,<br>ცვლ. | წლის დას-<br>დან, ცვლ. | წ/წ ცვლ. |
|-------------------|------|------------------------|------------------------------|---------------|---------------|---------------|------------------------|----------|
| BGEO*             | BGEO | 34.02                  | 1,344                        | -17.2%        | -6.6%         | -4.4%         | 21.3%                  | 32.7%    |
| TBC*              | TBC  | 17.70                  | 923                          | -6.6%         | 41.6%         | 36.2%         | 75.2%                  | 86.3%    |
| Halyk Bank        | HSBK | 6.25                   | 1,718                        | -0.8%         | -4.4%         | 12.8%         | 26.3%                  | 33.0%    |
| KKB               | KKB  | 1.40                   | 558                          | 5.3%          | 1.4%          | -11.9%        | 14.3%                  | 26.7%    |
| VTB Bank          | VTBR | 2.28                   | 14,775                       | -4.6%         | 8.4%          | 9.6%          | 8.1%                   | 24.5%    |
| Vozrozhdenie Bank | VZRZ | 12.42                  | 295                          | 6.4%          | 8.6%          | 23.0%         | 50.5%                  | 58.6%    |
| Sberbank          | SBER | 11.22                  | 60,524                       | -6.3%         | 18.9%         | 22.7%         | 90.7%                  | 123.6%   |

წყარო: ბლუმბერგი

\*BGEO და TBC ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, ხოლო ცხრილში მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში შენიშვნა: TBC-ის აქციის ფასის 6-თვიანი, წლის დასაწყისიდან და 1-წლიანი ცვლილება დაანგარიშებულია მოცემულ თარიღებში GDR-ების ფასებთან მიმართებაში


### ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

| კოდი          | აქციის ფასი, აშშ \$ | კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$ | 1თვე, ცვლ. | 3თვე, ცვლ. | 6თვე, ცვლ. | წლის დას-დან, ცვლ. | წ/წ ცვლ. |       |
|---------------|---------------------|---------------------------|------------|------------|------------|--------------------|----------|-------|
| GHG*          | GHG                 | 4.15                      | 547        | -12.1%     | 4.9%       | -7.5%              | 81.7%    | 75.0% |
| Mouwasat      | MOUWASAT            | 35.59                     | 1,780      | -9.8%      | 16.1%      | -3.1%              | 9.7%     | 23.9% |
| Fortis        | FORH                | 2.78                      | 1,340      | 6.9%       | 10.1%      | 21.1%              | 2.4%     | 9.1%  |
| Raffles       | RFMD                | 1.04                      | 1,820      | 3.7%       | -4.0%      | -9.0%              | 6.4%     | 12.3% |
| IHH           | IHH                 | 1.41                      | 11,642     | -2.5%      | -7.6%      | -15.6%             | -7.5%    | -4.8% |
| Bangkok Chain | BCH                 | 0.43                      | 1,084      | 6.6%       | 31.3%      | 25.4%              | 73.2%    | 65.0% |
| Netcare       | NTC                 | 2.39                      | 3,490      | 3.3%       | -3.1%      | 6.6%               | 9.0%     | 18.6% |

წყარო: ბლუმბერგი

\*GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, ხოლო ცხრილში მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში

### BGEO ჯგუფი (BGEO LN)




მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი

### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი

### საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტი & ტაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი & ტაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაში ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი & ტაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი & ტაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი & ტაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი & ტაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი & ტაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი & ტაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი & ტაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი & ტაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი & ტაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტი & ტაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განქორციელება იმგვარად რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტი & ტაგარტი**  
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** gt@gt.ge